№ 73 16 თიბათვე, ხუთშაბათი 1866—1877 16 თიბათვე, ხუთშაბათი № 73

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე სამშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენაზე.

ფასი განცხადებისა: ბადოსანებით ასოზე—1 კაპ., ასო მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

რომელიც **პირველი ივნისიდამ ყოველ დღე** გამოდის, შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე, ნ. ამატუნის სახლებში.

ფასი გაზეთისა ამ 1 ივნისიდამ მომავალი წლის 1 იანვრამდე—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

უმოკრჩილესად ვთხოვთ ყველა ჩვენ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ სრულად არ შემოუტანიათ, გამოგზავნონ რედაქციაში.

ვინც ივნისის განმავალობაში მთელი წლის ფულს არ წარმოადგენს, 1 ივლისიდამ გაზეთი აღარ გაეგზავნება.

ამ თხოვნას ვუმეორებთ აგრეთვე იმ ჩვენს აგენტებსაც, რომელთაც რედაქციასთან თავიანთ ხელის-მომწერლების ანგარიში ჯერ კიდევ გასწორებული არა აქვთ.

„დროებისა“ ისყიდება:

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში (ქაუკიის ხიდზე, **მირზოევის** შენობაში)

გრიბუროვის წიგნის მაღაზიაში (ქაუიის ხიდ თან, **ზუბალოვის** სახლში)

„**სულთანის**“ თამბაქოს მაღაიზაში (სუდის ქვეშ).

„**ყარდანახის**“ სარდაფში (**სასახლის** ქუჩაზე, **არწრუნის** ქარვასლაში)

აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში **ბულვარზე**)

გრიგოლოვის მაღაზიაში („**ყავკაზის** სასტუმრ.ის ქვეშ, **მირზოევის** სახლებში).

ტელეგრამმები

(ოფიციალური)

ბრძოლის ველიდამ

ოზურგეთი, 12 ივნისს. **ბუშინ, ციხის-ძირზე** მიდგომის დროს, ჩვენს ჯარს ყოველის მოულოდნელად დახვდა ახალი ჯარი, რომელიც ახლად მოსულიყო ამ სიმაგრეში.

ჩვენის მხრით ამ დღეს დაჭრილი არიან: პოდპოლკ. ტერიევი, მაიორი მელიქოვი, პორუჩ. პაპოვი, მაიორი **ულიანოვი**, პრაპ. ლევიცკი, კაპ. **ანოსოვი**, პრაპ. **შაგილ-ჰუსეი-ულრამშინ**, პარუჩ. **ფედკოვსკი**, პარუჩ. **ლალოტ**, ქართული დრუჟინის როტმისტრი **ჩხეიძე** და **პოდპორუჩ. აბულაძე.**

ხუც-უბანი, 13 ივნისს. **12** ივნისს **ოსმალოები** დაგვეცნენ ჩვენ თავს **სამებასთან. ზარბაზნებისა** და **თოფის** სროლა და შემდეგი ხელ-ჩართული ბრძოლა დილის **10** საათიდამ საღამოს **7** საათამდინ არ შეწყვეტილა. **ჩვენ** უკუ-ვაქციეთ **ოსმალები** დიდის ზარალით. **ოსმალოს** მხრით ძალიან **მარჯვეთ** იყო **არაბის ჯარი**, რომელიც **9** ივნისს მოვიდა, და აგრეთვე იმათი **არტილერია**; რამდენჯერმე მოვიდნენ ესენი ჩვენზე **ეერიშით** და თავის გვამებით მდ. **ქინტრიშის** ნაპირი მოჰფინეს. **დალამების** გამო, ბრძოლა შეწყდა. **ტყეები** ამბობენ, რომ **ციხის-ძირში** **დერვიშ-ფაშა** იმყოფებაო.

ჩვენის მხრით **150** კაცამდინ არის მოკლული და **დაჭრილი.**

ოქუმი, 11 ივნისს. **ოსმალოს** ხომალდებმა **დაგვიშინეს** **გუშინ** ზარბაზნები **ილორთან** და ამ **დროსვე** **უნდოდათ** თავს **დაგვცემოდნენ.** **მაგრამ** ჩვენმა **არტელლერიამ** ისეთი **ძლიერი** **სროლა** **დაუწყო** **ოსმალოს** ჯარს, **რომ** **იძულებული** **შეიქნა** **უკან** **დაბრუნებულიყო.**

ჩვენის **მხრით** **2** **დაჭრილია.**

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

ინგლისურს **გაზეთს** „**Daily Telegraph**“-**ში** **მოსვლია** **შემდეგი** **ტელეგრამმები** **თავის** **კორრესპონდენტებისაგან**, **რომელნიც** **აზიის** **ბრძოლის** **ველზე** **ჰყავს** **გაგზავნილი:**

„**სტამბოლი, 29** **მაისს.** **თითქმის** **ყოველ** **დღე** **ახალ-ახალი** **ჯარი** **მოდის** **აქ** **სალონიკიდამ** **და** **აქედამ** **პირ-და-პირ** **ბათუმისაკენ** **აგზავნიან.** **საზოგადოთ** **ყველა** **ჯარები** **მარჯვედ**, **მხნეთ** **არიან** **და** **ეტყობა**, **რომ** **ისინი** **თავ-განწირულად** **იომებენ** **მტრის** **წინააღმდეგ.**

„**ერზრუმი, 30** **მაისს.** **სოლანლუღიდამ** **რუსის** **ჯარი** **ყარსისაკენ** **დაბრუნდა**; **პენიაკიდამაც** **ყარსში** **გაგზავნეს.** **ამ** **მოკლე** **ხანში** **აქეთკენ** **დიდ** **შეტაკებას** **მოელიან**; **დალი-ბაბასთან** **იქნება** **ბრძოლაო**, **ამბობენ.** **მუხთარ-ფაშას** **ახალი** **ჯარები** **მოსდის.**

„**სოხუმი, 30** **მაისს** (**11** **ივნ**). **ქავკასიის** **მაჰმადიანების** **აჯანყება**, **რომელიც** **თითქო** **შეჩერდა**, **ახლა** **ისევ** **გაძლიერდა** **ახალის** **ძალით.** **აქ**, **სოხუმში**, **ბევრი** **აბხაზები** **და** **სხვები** **თავის** **ნებით** **მოდიან** **და** **ოსმალოს** **ჯარის** **რაზმში** **დგებიან.** **სოხუმს** **ამაგრებენ** **ახალი** **ციხეებით.**

„**დღეს** **შაქეთ-ფაშა** **6,000** **კაცი** **აბხაზის** **ჯარით** **და** **სამი** **ბათალიონით** **რეგულიარული** **ჯარით** **გავიდა** **ჩვენი** **ქალაქიდამ**, **სოხუმიდამ**, **იმ** **განზრახვით**, **რომ** **გადევნონ** **რუსის** **ჯარები**, **რომელნიც** **აქა-იქ** **არიან** **ამ** **მაზრაში** **გაფანტულნი.**

„**საზოგადოთ** **აქ** **ოსმალოებს** **ძალიან** **კარგათა** **ჰყავთ** **ჯარები** **გაწყობილი**; **ესენი** **მოუთმენელად** **მოელიან**, **რომ** **შეეტაკნენ** **რუსის** **ჯარს.**

„**სოხუმი, 12** **ივნისს** (**30** **მაისს**). **ეს** **არის** **მე** **შევიტყე**, **რომ** **სამხრეთის** **მხრის** **აბხაზებიც** **ამდგარან** **და** **განზრახავა** **აქვთო**, **რომ** **ფოთი-თფილისის** **რკინის** **გზა** **გააფუჭონო.**

„**სოხუმი, 12** **ივნისს.** **ჩერქესის** **კავალერიას**, **რომელიც** **მდ.** **ქადორისაკენ** **მიდიოდა**, **500** **კაცი** **რუსის** **კავალერია** **შეხვედრია**, **შეტაკება** **ჰქონიათ** **და**, **როგორც** **მითხრეს**, **ჩერქესები** **დაუმარცხებიათ.** **რუსებს** **წაუყვანიათ** **51** **ცხენი** **და** **ამას** **გარდა** **ბევრი** **თოფი** **დარჩენიათ.**

„**სულთანის** **ადიუტანტი** **მაჰმუდ-ბეი** **წამოვიდა** **აქედამ** **სტამბოლისაკენ** **და** **თან** **მოაქეს** **101** **რუსის** **პატარა** **ზარბაზანი**, **რომელიც** **აქაურ** **ციხეებში** **უნახავთ** **ოსმალოებს.**

„**ახალი** **ჯარები** **კიდევ** **მოდიან.**

გაზეთს „Standard“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა მცირე აზიის ბრძოლის ველიდამ მიღებული:

„ალღეს თუ არა რუსებმა ოლთისი, იმ წამსვე მოიხმეს აქაური სომხები და გამოუცხადეს, რომ ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვებრძვით ოსმალოებსაო, რომ ქრისტიანები დავიცვათ იმათ შევიწროებისაგანაო. მაგრამ სომხებმა უპასუხეს თურმე რუსებს, რომ „ჩვენ სრულებითაც არა ვგრძნობთ ოსმალოებისაგან შევიწროებასაო.“ „მე შემიძლია დაგარწმუნოთ თქვენაო, იწერება ზემოხსენებული გაზეთის კორრესპონდენტი, რომ რუსების აქ მყოფობაში სომხები დიდის პატივისცემითა და მეგობრობით ეპყრობოდნენ საზოგადოთ ოსმალოებსა და განსაკუთრებით იმათ მოლლებს.“

ერთს ფრანცუზულს გაზეთში (La France) დაბეჭდილია ბათუმიდამ მიღებული ამბავი, რომ რუსები დღე და ღამე მუშაობენო და ემზადებიან ციხის-ძირის ასაღებად და მერე ბათუმში მოსასვლელადაო. ისინი ჭკაფავენ ტყეს და გაჭყავთ გზები, რადგან ზარბაზნებისა და სურსათის გადასატანი უარის გზა აქ არ არის; ციხის-ძირიდამ და ტყეებიდამ ხშირად უშენენ იმათ ზარბაზნებსა და თოფებს და ამ დროს რუსებიც თავს ანებებენ მუშაობას, მაგრამ როგორც ზარბაზნის სროლა შესწყდება, იმ წამსვე ისევ თავის საქმეს იწყებენ.

მუხთარ-ფაშას თავის განკარგულების ქვეშ ჰყავს თურმე ამ ჟამად 63,000 ქვეითა კარგათ გაწრთენილი რეგულიარული ჯარი, 6 პოლკი ცხენოსანი (5,000 კაცი) და 180 მინდვრის ზარბაზანი.

ევროპის ბრძოლის ველიდამ

მკითხველმა წასულ ნომერში დაბეჭდილის დეპეშიდამ იცის, რომ რუსების ჯარის ერთი ნაწილი მაჩინის პირ-და-პირ გადავიდა დუნაიზე. ოსმალოები მოელოდნენ თურმე ამ ალაგას რუსების გამოსვლას, რადგან 1828 წლის ომის დროსაც აქ დაგასულან, ამაგრებდნენ კიდეც თვითონ მაჩინსა და იმის ახლო-მახლო დუნაის მარჯვენა ნაპირებს. მაგრამ მუშაობის დაწყება გვიან მოგონებიათ და ჯარებიც ცოტა ჰყოლიათ მაჩინში; ამის გამო რუსებს მოუხერხებიათ მსწრაფლად გადასვლა ამ ადგილას დუნაიზე.

რადგან ამ ნაირად რუსებმა გადაიყვანეს თავის ჯარები დუნაიზე, ახლა ყველაფერი სისწრაფეზე იქნება დამოკიდებული: თუ ბევრი ჯარი სიჩქარით გადაიყვანეს, მაშინ გაუმაგრდებიან მტერს, რომელიც, უეჭველია, ამთავითვე არ მისცემს მას მოსვენებას და ეცდება, რომ გადასული ჯარი ამოწყვიტოს.

ერთს ნემენცურს გაზეთში დაბეჭდილია საყურადღებო ამბავი, რომ ვითომც რუსის არმიიდამ (დუნაიდამ) ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელი შიფრის დეპეშებით აგზავნიდეს ყოველ გვარ ცნობებს რუსის არმიის მდგომარეობაზე და განზრახვაზე თავის სახელმწიფოში და ამ ცნობებს მერე სტამბოლში აგზავნიან და იქიდამ რუსჩუკში და ვარნაში მოდის ოსმალოს ჯარების უფროსებსაო. რუსის სამხედრო მთავრობას ეს ამბავი რუსეთისვე უცხო ქვეყნის მინისტრისათვის უცნობებია და ამასთანავე გამოუცხადებიათ, რომ თუ შემდეგშიც ასე განაგრძეს ჩვენს ჯარზე ცნობების გადატანაო, მაშინ ამ ამბავს მთელს ევროპას შევატყობინებთ და განსახილველად წარუდგენთო.

ეს გარემოება, უეჭველია, ინგლისს შეეხება.

რუსჩუკში, შუმლაში, სილისტრიაში, ვარნაში და სხვა ბოლგარიის სიმაგრეებში ძალიან გაცხარებული მუშაობა აქვთ თურმე ოსმალოს ჯარს. ახალ სიმაგრეებსა და თხრილებს აკეთებენ, ზარბაზნები ერთი ალაგიდამ მეორე ალაგას გადაქვთ, ყოველ დღე ჯარებს ავარჯიშებენ, ციხეებში სურსათს აგროვებენ და სხვ. ამ მუშაობაში, განსაკუთრებით ციხეების გამაგრებაში ყველაზე უფრო მომეტებულ მონაწილეობას, როგორც ამბობენ, ინგლისის ინჟინერები იღებენ, ამათ მიჰყავთ ეს საქმე.

ლონდონის გაზეთის „Times“-ის კორრესპონდენტი შუმლიდამ იწერება, რომ ახლად ჩამოსული ეგვიპტის ჯარი ძალიან კარგათ არის გავარჯიშებული სამხედრო ხელობაშიო და, როგორც ეტყობა, თავ-დაუზოგველადაც იომებენ ესენი რუსების წინააღმდეგ და ოსმალეთის დასახსნელადაო. ამათი აფიცრებიც ძალიან განათლებული ხალხია თურმე; ყველას სამხედრო შკოლები გაუთავებიათ; ესენი ჩინებულ არაბის ცხენებზე არიან და ძალიან მხნე კაცებიც ყოფილან საზოგადოთ ეგვიპტელებიო.

საქართველო

დღიური

*** ერთად-ერთი საავათმყოფოა ამ ჟამად ჩვენს ქალაქში, სადაც ღარიბ ხალხს შეუძლია მიიღოს, მუქთი წამალი თუ არა, მუქთი დარიგება მაინც არის; ეს საავათმყოფო გახსნილია ოს ლეჩებნიცა, რომელიც 4 აპრილს 1867 წელს ხელმწიფის სიკვდილის გადარჩენის სახსოვრად გახსნეს თფილისის ექიმებმა.

საუბედუროთ, ეს ერთად-ერთი ჩვენი საავათმყოფოც ვერ ასრულებს რიგიანათ თავის პირ-და-პირ მოვალეობას, ე. ი. გაჭირებულ ავათმყოფების ხელის მომართვას. ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ამ საავათმყოფოში ხშირად მხოლოთ ერთი ექიმი მოდისო ყველა გვარ ავათმყოფებისათვის და დილის 10 საათის შემდეგ ავათმყოფებს სრულებით აღარ იღებენო.

მართალია, ომიანობამ მოინდომა ყველა ჩვენი ექიმები; მაგრამ, რაც უნდა იყოს, იმდენი კიდევ დარჩა თფილისში ექიმები, რომ ორ-სამ კაცს ამ კეთილი საქმისათვის ადგილად შეეძლოთ დღეში ერთი საათის შეწირვა. განსაკუთრებით ამ დროს ამ ზაფხულში, როცა დამპალი ხალხისაგან ასე ხშირდება ხოლმე მუდამ ჩვენ ღარიბ ხალხში ავათმყოფობა, ამ საავათმყოფოს ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული. თუ ასეა, მაშ გაზეთებში რად გვაცხადებინებენ, რომ ამა-და-ამ დღეს ამა-და-ამ გვარი ავათმყოფობის ექიმი იქნება საავათმყოფოშიო?!

*** ერთს პეტერბურღის საზოგადოებას, სახელად „ხალხში წერა-კითხვის გამავრცელებელ კომიტეტს“, პოლკოვნიკის ბოგდანოვიჩის წინადადებით, რუსეთის ყველა მომქმედ არმიაში გაუგზავნია ავათმყოფ და დაჭრილ მეომრებისათვის საკითხავად წიგნები და ბიბლიოთეკები გაუმართავთ. სულ ამ კომიტეტს 25 ბიბლიოთეკა გაუმართავს და ამაში 10 კავკასიაში გამოუგზავნია აქაურ ჯარებისათვის.

*** ჩვენი ქალაქის ჯიბის ოსტატების ოინებზე თუ დიდი ხანია არა გვითქვამსრა, ეს იმას კი არ მოასწავებს, რომ ეს ხელობა მოისპო ჩვენში; სულაც არა,— ახლა, მგონი, უფრო ენერგიულად მოქმედებდნენ ისინი, ვინემ სხვა დროს. სხვათა შორის, ამ დღეებში ერთ საწყალ დილმელ გლეხს ჰავლაბრის ხიდთან ამოაცალეს ჯიბიდამ სამ თუმან ნახევარი, რომელიც თავის დისათვის მზითევის სასყიდლად ჩამოეტანა.

*** სოფ. სოლანლუღიდამ და დილმიდამ გვწერენ, რომ 4 და 5 ივნისს რომ ქალაქში და ახლოში სამინელი სეტყვა იყო, ჩვენკენ სრულებით არ ყოფილაო, და ამის გამო წელს აქეთკენ ჩინებულ მოსავალს მოველითო, განსაკუთრებით ხილის მოსავალსაო. თუ შემდეგშიაც კარგი ამინდები დაუდგა დილმის ხილს,

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ატამი და ყურძენი ჩვენს ქალაქში იაფი იქნება, რადგან ეს ორი ხილი აქ მომეტებულად ამ სოფლიდამ მოაქვთ.

*** ერთი ქართული წიგნების გამყიდველი გვატყობინებს, რომ მარტო ერთს სოფელს მეჯვრიხევში, ორი კვირის განმავალობაში, გაყიდულა: „ზოგია მეჩანგური“ აკაკისა—60 ეგზემპლიარი, მზითუნახავი ქალი“—20 ეგზ., „ეშმაკის ხარო“—10 ეგზ., „ირაკლი მეფის გლოვა“—30 ეგზ. და ამას გარდა რამდენიმე ათი სხვა მაურიანი ქართული წიგნები.

*** ბაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია, რომ ძუთაისის უეზდის უფროსს უფ. ბებურიშვილს წარუდგენია დაჭრილთა და ავათმყოფთ მეომრების ადგილობრივ საზოგადოებაში 526 მან. და 9 კაპ., რომელიც ძუთ. უეზდის სოფლის საზოგადოებებმა შემოსწირესო....

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 8 თებათვეს. მე დაგპირდით უ. რედაქტორო, დაწერილებით მომეწერა აქაურ ხალხის აღელების მიზეზი და მისი დროებითი დასკვნაც. თანხმათ ამისა კიდეც ვასრულებ:

ორმა სიტყვამ: „საცაა ლეკის ჯარი თელავში შემოვა!“ როგორც ნაპერწკალმა ისე გაუარა მთელ ქახეთის მცხოვრებლების ტანს.

თითონ ქ. თელავი, რომელშიაც მომეტებული ნაწილი სომხობა ცხოვრობს, ერთ წამს ფეხზე იდგა იარაღში ჩამჯდარი, მთელი სამი დღე ვაჭრობა შემდგარი იყო, და ხორაგის დუქნები დაკეტილი. მისაც კი შეეძლო გასვლა აქედგან, მიდიოდნენ თავიანთ ცოლ-შვილით მთაში დასამალავათ, შეუძლებელნი კი ზოგნი ციხეში შედიოდნენ, ზოგნი საყდარში და სხვა ამ გვარ დაფარულ შენობებში.

საბრალო სურათს წარმოგვიდგენდა ხალხი დაბანაკებული თელავის გალავანში: კაცი და პირუტყვი ერთათ არეული, სიმრავლე როგორც პირველისა ისე მეორისა, ჰაერი შეზავებული პირუტყვის სასუქით, ამასთან ის მწარე მზე, რომელიც ახურებდა გალავნის კედლებს და რომლისგანაც ძლივ ქშინავდა კაცი, რა კეთილს დააყრიდა აქ მდგმურებს.

ამაზე ნაკლებათ არც სოფლების მცხოვრებელნი იყვნენ აღტაცებულნი შიშისაგან. აქ სოფლებში განსაკუთრებით გლეხები ანებებდნენ ხელს გუთანს, თოხნას, მკას და ყველა მათგანი ცდილობდა ჩქარა გაქცეულიყო მთაში დასამალავათ; ურმების სიმრავლისაგან გავლა აღარ იყო, პატარა ყმაწვილების წივილი და დედაკაცებისა მთა-ბარს აღვიძებდა! რამთვენმა ორსულმა დედაკაცმა გაქცევაში შობა, რამთვენი ბალღი გაიგდო და რამდენი ამ გვარი უბედურება მიადგა აქაურ გლეხებს, მუშაობის შედეგმამ რამთვენი ზარალი მისცა მათ,—სულ ამ გვარ საქმეებს რო ანგარიში უყოთ საზარელი სანახაობა წარმოგვიდგება ჩვენ წინ.

მაგალითად მოგწერთ ერთ სამწუხარო შემთხვევას: ს. ქონდოლს, ამ აჯანყების ორ დღის წინათ, მომკვდარიყო ერთი გლეხი, ჩვეულებინათ კუბოში და დეედგათ ფიცრულ სახლში; ორსავ მხარეს კუბოსა დაენთოთ სანთლები. ამ დროს დაეძახნათ: შემოვიდა ლეკი! ამ სიტყვაზე სუყველა იქ მყოფნი გაქცეულიყვნენ, კუბო კი დაეგდოთ შინ; როცა დამწვარიყო სანთლები მოსდებოდა კუბოს, კუბოდგან სახლს და სულ ერთიანათ როგორც კუბო მკვდრით, ისე სახლი გადამწვარიყო. მცხვარიც არის წაყვანილი;—ეს შემთხვევა მიეწერება სხვას არაფერს გარდა ადგილობრივი ხასიათს.

როგორც უნდა იყოს, ამ ამჟამად ხალხი დამშვიდებაში მოდის.

ამასთან უნდა მოგახსენოთ, უ. რედაქტორო, რომ შემთხვევამ სასარგებლოთაც არ დაიგდო ჩვენი ხალხი: ეხლა ყველა, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი მოძრაობაში მოვიდა; ცოტა ოდენათ ყურს ცქვიტამენ, თავის მდგომარეობაზე, თავის ხვედრზე დაიწყეს ფიქრი...

ზემო-მხრელი

ნახიჩევანი 10 ივნისს. ჩვენი ქალაქიდამ და მის მაზრიდგან წამოვიდნენ ომის ველზე მილიციონერიბი; მათ შორის იყვნენ: ბეგები, მელიქები, მირზაები-სომხები და თათრები. მარამ, საუბედურათ, დღეს რამდენიმე მილიციონერი, უკანვე გამოქცეულები, ჩაფრებმა შემოიყვანეს ნახიჩევანში. თუ ამ ნაირათ მოიქცნენ ეს ჩვენი თათრები და სომხები, ჯერ ომის ველზედაც არ გასულნი, უმჯობესი იქმნებოდა, რომ ესენი არ მოეკრიფათ და ტყუილათ ხარჯი მათზედ არ გაეწიათ.!!

ხმები ისმის, რომ აქ დაიარებიან ავაზაკები, შედგენილები თათრებისა და სომხებიდგან 40 კაცამდინაო. ეხლა ჩვენი მაზრის უფროსმა დიდი ყურადღება მიაქცია ამათ, და ყოველ დღე დაეძებენ, რომ სადმე იპოვონ. ამბობენ, დიფანტული არიანო სხვა და სხვა სოფლებშიო.

ბუშინას-წინ ტელეგრამმა მოვიდა აქ ლუბერნატორისაგან, რომ სპარსეთში ჭირი გაჩენილა, და ყოველი ლონის-ძიება მიღეთ, რომ კარანტინები შეკრათო და არავინ არსად არ გაუშვათო. ამისგამო გუშინ 50 სალდათი ადგილობრივი კამანდიდგან გაგზავნეს კარანტინში და კარდონის წრეებიც ალაყებ[illegible] გასამგარეს, რომ არავის შეეძლოს სამზღვარ გარეთ გასვლა-გამოსვლა. ამბობენ, ვითომც აქეთ გამოსულან ოსმალოდგან სპარსეთის მმართებლობის ტყუილის ბილეთებით რამდენიმე სვიდები (მათი ბერები და მქადაგებელნი არიან), ხალხის ასაჯანყებლათაო. ზოგი მათგანი კიდეც წასულან ყარაბაღისკენა.. ამას წინათ, აქ ნახიჩევანს ახლოს ერთ თათრის სოფელში, სპარსეთიდგან მოსული მოლლა თურმე ყოველ დღე უქადაგებდა მეჩითში ხალხსა, რომ ეხლა დადგა საღმთო ომიანობაო, ქრისტიანებს უნდათ ჩვენის ჭრჯულის დატეეებაო, და ყველასა გმართებთო მართლ-მორწმუნე მაჰმადიანთაო, რომ აიღოთ საჭურველი და ამოჟლიტოთ ქაფრები-ქრისტიანებიო. ეს მალე შეიტყო უეზდის უმფროსმა, და მაშინვე დაიჭირეს და უკრეს თავი, საიდანაც მოგზრძანებული იყო.

ნახჩევნელი ქართველი

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ფრანცუზულს გაზეთში „France“ სწერენ, რომ საფრანგეთში ამ ჟამად კლერიკალების პარტიის გამარჯვების გამო, სამს ჩრდილოეთის უმთავრესს სახელმწიფოებს პირობა შეუკრავთ—რომ პაპის ინტრიგებს წინაადმდეგობა გაუწიონ. უ. ბენნიგრენის რომში და უფ. ფონ-ქეიდელს—ვენაში წასვლას, ამბობენ კავშირი აქვსო იმ მოლაპარაკებასთან, ომელიც ზემო-მოყვანილ გარემოების წესახებ პეტერბურღის, ვენის და ბერლინის კაბინეთებს შორის უკვე დაწყებული არისო. ამ გაზეთისაკე სიტყვებით 16 მაისის მმართებლობა მალე მიიღებს ამ მოლაპარაკების დასკვნასაო.

—ფრანცუზული გაზ. „Aube“ გვაცნობებს, რომ შინაგანი საქმეების მინისტრს შემდეგი შენიშნვა გაუგზავნია ზოგიერთ „კეთილ მოაზრე“ გაზეთებისათვის:

„მმართებლობამ მოახდინა განკარგულება, რომ თვალ-ყური ადევნოს დეპუტატების მანიფესტების სახალხოთ გამოცხადებას. ყოველი გაზეთი, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება დეპუტატების ადრესი ან სხვა რამე გვარი დოკუმენტი მარშალის (მაკ-მაჰონის) პიროვნობის ანუ ომის მმართებლობის შეურაცხყოფის მიმყენებელი, იქნება დევნილი მართლ მსაჯულების წესით.“

—ერთს ფრანცუზულს გაზეთში სწერია, რომ ის სენატორები, რომელნიც „კონსტიტუციონალურს“ ფრაკციას (პარტიას) ეკუთვნიან, თუმც კი განაცხადეს, რომ ისინი შემწეობას მისცემენ მარ-

შალ-პრეზიდენტს, მაგრამ მაინც სჩივიან ეხლანდელი კაბინეთის მდგომარეობაზე. ესენი ახალს მინისტრებს სხვათა შორის იმითაც ამტყუნებენ, რომ იმათ, ახალი მოსამსახურე პირების დანიშვნის დროს, უმთავრესად კლერიკალებისა და ბონაპარტისტების ჰაზრების პატივისცემა და ყმაყოფილება აქვთ სახეში.

ოსმალეთი

ნემეცურს გაზეთში „პოლიტიკურ კორრესპონდენციაში“ იწერებიან სტამბოლიდამ, რომ თუმც მმართველობა ყოველ გვარ საშუალებას ჰხმარობს ხალხის ღელვა და უკმაყოფილება დააცხროსო, მაგრამ მაინც ვერაფერს ახერხებსო და ამ ცოტა ხანში უთუოთ ძრიელ საგულისხმო არეულობა მოხდება სტამბოლში. „სტამბოლის მცხოვრებლების დატყვევება და ადმინისტრატიულის წესით ქალაქიდამ გაგზავნა მუდამ დღე მატულობს. ამ ერთი კვირის განმავალობაში აგერ ორასი კაცი გაგზავნეს არხიპელაგის სხვა და სხვა ციხეებში. მაგრამ ამით ხალხი მაინც არ ცხრება, არამედ უფრო ღელავს და უკმაყოფილებას იჩენს მმართველობას წინ, რომ ეს უკანასკნელი იმათ არაფერს ნამდვილს არ ატყობინებს აზიისა და ევროპის ომის ველიდამ.

ამ ჟამათ სტამბოლში უბრალო ხალხიც კი თხოულობს, რომ დააბრუნონ მითჰადი. უმთავრესს ვეზირს საჭეტფაშას და მმართველობის სხვა რომელიმე პირს არაფერი განვლენა აღარ აქვსთ ხალხზე.“

— გაზ. „პეშტის ლლოიდში“ იწერებიან სტამბოლიდამ, რომ ამ დღეებში იქ ომის უმთავრესი შერიჩის ძმას მიელიან არაბულის ჯარით, რომელნიც გაგზავნილი უნდა იქმნენ ომის ველზე. ამბობენ მას ომის უმთავრესი მეჩეთის სიმდიდრიდამ აღებული დიდძალი ფული მოაქვს თანაო.

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაგათს: ექიმი მინკიევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი — თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფ., ჭიუჩარიანცი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი — ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფ., ჭიუჩარიანცი — ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი — თვალის ავათმყოფობისა.

განცხადებანი

პრისიაჭნის პოვერენი რიმსკი კორსაკოვი კისრულობს საქმეების წარმოებას, არზების დაწერას და აძლევს დარიგებასა

სალდათის ბაზარი, ლიუტერანთ საყდრის სახლი. (4—1)

ძალისამებრ კონტრახტისა, რომლითაც შეეკარ მე თფილისის ქალაქის გამგეობას, 3 ივნისს 1877 წელსა, მე ავიღე იჯარით (ოტკუპით) შეკრება ხარჯისა, რომელიც ერთმეორის საზიჯვისათვის, მსუბუქი დოლაბკებითა, ფაეტონებითა და მძიმე საქონლის ზიდვითა, პოვოსკებითა და თუ ფურგუნებითა.

ამ საგნისათვის მაქვს ნაქირავები კანტორა ერევნის მეიდანზედ, ალავერდოვის სახლში სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ, მეჩანსკის უპრავას გვერდით.

უმდაბლესად ვსთხოვ ყოველთა, რომელთაც არ მიუღიათ ამ წლისათვის ბლიახი, გამოცხადდნენ ჩემს კანტორაში მისაღებლათ ბლიახისა, რომლისათვისაც უნდა მისცენ განწესებული ფული. ფულის მიღება და ბლიახის მიცემა დაწყობილი იქმნება ყოველ დღესა დილით 8 საათიდამ ვიდრე 2 საათამდე შუადღის უკანა, გარდა კვირისა და უქმი დღეებისა. ამისთვის მაქვს პატივი გამოუცხადო ყოველთა საერთოთ.

მოიჯარადრე სტეფან დოვლათბეგოვი

დაიკარგა სადა, ფართო ოქროს **ბეჭედი**, რომელზედაც დიდის სლავიანურის ასოებით აწერია რუსულად „Василій Черникъ“. თუ თუ ხმეტი მანეთი საჩუქარი, ვინც იპოვნის ამ ბეჭედს ან წარმოადგენს: ან ქუთაისში, ივანე იოსების ძეს ზედგინიძესთან ან სლაბოტკაში, ქრიეოლაპოვის სახლში ეისკის ყაზახის პოლკის ხორუნჯის ლეიხთან და ანუ ოზურგეთში — ვასილი ივანეს ძეს ჩერნიკოთან.

(3—3)

ვისაც ეჭირება კაცი, რომელმანც იცის ბუხღალტერიის ანგარიში, კანტორის გამგეობა ანუ ვისაც უნდა საანგარიშო ანუ სხვა რაიმე საქმის გამგებელი, შეუძლიან მიმართოს „დროების“ რედაქციაში.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
უვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
უვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:

	მ.	კაპ
მუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, მუთაიას, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. ქუთეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საბზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 11 ივნისს		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	78
პარიჟში 266 სანტიმი.	—	81
ესკონტი (სარგებლისფასი)	$7^1/_2$	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებანი (პირველისესხი)	208	
მოგებანი (მეორე ხესხი)	201	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	--
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	83	—
მოსკოვის (5%). . . .	90	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	--	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	—
ტავაზის და მერკურის. .	203	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	735	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 15 ივნისს		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	25
ფქვილი წითელი. . .	1	—
ქერი ფუთი. . . .	—	70
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	80
— ამერიკისა, ფუთი. .	7	—
ბაპენტილი ბამბა ფუთ.	7	70
მატყლი თუშური ფუთ.	3	—
— ოარაქამისა ფუთ. .	2	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	5	50
ქონი, ფუთი. . .	6	20
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	72
— ცხვრისა, ლიტრა .	—	72
სპირტი, გრადუზი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	—
— ფხვნილი ფუთი . .	8	20
ყავა გრგვალი, ფუთი .	28	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9	—
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	7	72

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Іюня 1877 г. Типографія Меликова. გამოცემული ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. ...